პედაგოგიკა Pedagogic

ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური პედაგოგიკის მნიშვნელობა

ნინო სოხაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: nino.sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.22
SJIF 2026: 8.679

სტატიაში აღნიშნულია, რომ პედაგოგიკა, როგორც სხვა მეცნიერებები ფილოსოფიის წიაღში ჩაისახა. ფილოსოფიური ანთროპოლოგია პასუხობს კითხვას რა არის ადამიანი. შეიქმნა ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე დაფუძნებული ახალი პედაგოგიკა, რომელსაც ,,პედაგოგიურ ანთროპოლოგიას" ეძახიან.

ნაშრომში განხილულია, რა განსხვავებაა პედაგოგიკასა და ანთროპოლოგიურ პედაგოგიკას შორის.

პედაგოგიური ანთროპოლოგია სწავლობს ბავშვის არსს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ფილოსოფიასთან და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასთან. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა პედაგოგიკას წარმოგვიდგენს ადამიანის არსის განხილვას ახლებურად, ანუ მოაზროვნე არსებად. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა პიროვნებას თავისუფალ არსებად მიიჩნევს, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოების წინაშე. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა აცნობს ადამიანს მის საზრისს, მის ადამიანურ ვალს და დანიშნულებას.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფიური ანთროპოლოგია, პედაგოგიური ანთროპოლოგია

საგანმანათლებლო სისტემა მძიმე ჭრილში იმყოფება. აღზრდას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არსებობს აღზრდის შესახებ შემდეგი თეორიები: ნატივიზმი, ემპირიზმი, კონვერგენცია. ამ თეორიებიდან სრულად ვერცერთი ვერ სცემს პასუხს აღზრდის წარმოშობის შესახებ. აღზრდა გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო განყენებული აზროვნება, როცა მან ფიქრი დაიწყო ხვალინდელ დღეზე. ე.ი.როცა გაჩნდა ცეცხლი, ცეცხლის გაჩენამ გააჩინა სირცხვილი. ადამიანებმა დაიწყეს პრიმიტიული სამოსის შექმნა, ტვინის განვითარება, საკვების უკეთ დამუშავება და ნელ-ნელა ადამიანის საზოგადოებაში ჩნდება იერარქიული კიბე, ჩნდება ბატონობის პრინციპი. ეს პრობლემა კარგად აქვს მოცემული ჯემალ ქარჩხაძეს ნაწარმოებში ,,იგი", სადაც ჯერ კიდევ პრიმიტიულ საზოგადოებაში იკვეთება ინდივიდუალიზმი. იგი ნელ-ნელა, მაგრამ შესამჩნევად სწორდება, ეს არ არის იოლი, ეს იყო ძალდატანებითი, იძულებითი, მაგრამ აუცილებელი .,,იგი'"-ს ცვლილებას ცნობს სხვები და მუქარა მოდის მათი მხრიდან. ასეა

დღესაც, არ უყვართ მოაზროვნე ინდივიდი, ასეთი ადამიანი მათ ერთფეროვნებას არღვევს, შენც გაიძულებს იაზროვნო, სხვაგვარი ადამიანი გახდე. ქარჩხაძის მსგავსი მწერლები იგის მხარეზე არიან. აზროვნების მხარეზე არიან, ,,იგის“ სიძლიერე ეს ქვეყნის ერის სიძლიერეა, რომ ცხოვრება თავისუფლებაა, და თავისუფლება აზროვნების გარეშე არ არსებობს. როგორც ვიცით, პირველი ადამიანი გაჩნდა აფრიკაში და ,,სამხრეთის მაიმუნის“ სახელით არის ცნობილი. აქედან წამოვიდა ნეანდარტალელი. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტს, როცა პირველყოფილმა ადამიანმა დაიწყო კითხვის დასმა. ვითარდება მეტყველება. გერმანიაში შტადელის გამოქვაბულში ნახეს ამის ამსახველი ფაქტები.

აღზრდის პირველი ფორმა ეს იყო მიბაძვა, ჩნდება უთანასწორობა, ჩნდება კერძო საკუთრება და გონებრივი შრომის გამოყოფა ფიზიკური შრომისგან. როგორი იყო ამ პერიოდში სასწავლო პროცესი? ის მიმდინარეობდა ოჯახებში ან საეკლესიო სკოლებში. თემს ჰყავდა ბელადი, რომელიც იყო გამორჩეული თავისი სიბრძნით. ჩნდება პირველი სკოლები, რომლებსაც ედუბა ეწოდებოდა. ეს ხდება შუმერის და აქადის ქვეყნებში. სამწუხაროდ, სწავლა მხოლოდ მდიდრების საკუთრება იყო. ძალიან დიდი მნიშვნელობა მისცა კაცობრიობას ბერძნულმა ფილოსოფიამ. ფილოსოფია, რომელმაც კაცობრიობას ასწავლა აზროვნება, აქ ვგულისხმობთ სოკრატეს, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა ნამდვილ ცოდნას და ცოდნას.

პლატონმა და არისტოტელემ, რომლებმაც დაარსეს ლიცეუმი და აკადემია, რომელიც იყო განათლების მიღების წყარო. ასევე მნიშვნელოვანია ელინიზმი, რომელიც წარმოადგენს ელინური და აღმოსავლური კულტურის ნაერთს. მარკეს კვინტილიანე და მისი ტრაქტატი,,ორატორის აღზრდის შესახებ“დიდი აღიარება მოიპოვა ის იყო ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი.

,,სქოლასტიკური“აღზრდის მიზანი იყო რწმენის და ცოდნის შერწყმა. ცნობილია სარაინდო აღზრდა ანუ შვიდი სარაინდო სიქველის ცოდნა.

პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა იტალიაში XII საუკუნეში, სადაც ასწავლიდნენ შვიდ სარაინდო სიქველეს.

ფრანსუა რაბლე და მისი რომანი ,,გარგანტუა და პანტაგრუელი“აკრიტიკებს სქოლასტიკური განათლება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ,,აღმოსავლური რენესანსი და ქართული რენესანსი რომელიც წინ უსწრებს ევროპულს.

ეს არის მოკლედ ის გზა, რომლიც გაიარა პედაგოგიურმა აზროვნებამ. აღზრდა - განათლება ძალიან აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში და ეს გამოწვეული იყო ტექნიკური რევოლუციითთ. ყველაზე დიდი პრობლემა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არის გაუცხოებული ადამიანი. რატომ უცხოვდება ადამიანი? ტექნიკამ და ადამიანმა ადგილები შეცვალეს, ჰომოსაპიენსი გახდა ფომო-ფაბერად. ადამიანს დაავიწყდა ურთიერთობები, სულიერება, სიახლოვე. ყველაფრის საფუძველი გახდა ფინანსური მოგება, მომხვეჭელობა, ცბიერება და უარის თქმა იმ ქრისტიანულ ღირებულებებზე, როგორიც არის სიკეთე, მიტევება, სულიერი სიმშვიდე, სიყვარული, მშვენიერება. ხელოვნური ინტელექტი კი ხელოვნურ ,,მიღწევებს ‘’ გვპირდება. რით განსხვავდება პედაგოგიკა და ანთროპოლოგია. როგორც ვიცით, პედაგოგიკა სწავლობს ადამიანის აღზრდას, სწავლებას,განათლებას. ეს გახლავთ პედაგოგიკის სამი ძირითადი ცნება, ანუ კატეგორია. ანთროპოლოგია კი სწავლობს ადამიანის არსს, უფრო კონკრეტულად პედაგოგიკა ცდილობს ბავშვს ასწავლოს კითხვა და ცდილობს სხვადასხვა

მეთოდების გამოყენებას. ანთროპოლოგიას კი აინტერესებს ბავშვის შესაძლებლობები, მათი მენტალური, სოციალური, ფსიქოლოგიური მდგომარეობა ამის შესაბამისად იწყებს კითხვის სწავლას.

ანთროპოლოგიური პედაგოგიკა სწავლობს ადამიანის არსს, რომ ადამიანს აქვს მხოლოდ გაცნობიერებული თავისი არსებობა ე.ი. ის აზროვნებს. ანთროპოლოგიური პედაგოგიკა ადამიანს თვლის თავისუფალ არსებად. როგორც სარტრი იტყოდა თავისუფლება ეს არის ადამიანი. საინტერესოა საკითხი ანთროპოლოგია და მსოფლმხედველობა.

არსებობს ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. რა არის მსოფლმხედველობა? მსოფლმხედველობა არის ადამიანის შეხედულება გარე სამყაროზე. ყველა ადამიანს აქვს თავისი მსოფლმხედველობა და ის შეესაბამება მისი განათლების დონე.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია თვლის რომ ადამიანი არის თავისუფალი. როცა ადამიანი ვერ აზროვნებს იქ მთავრდება მისი საზრისი.

ამდენად, თანამედროვე მეცნიერება არის ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, რომელიც სცემს პასუხს რა ვასწავლოთ და ვის ვასწავლოთ.

ლიტერატურა:

1. ასათიანი, ბალანჩივაძე, ,,პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, გამომცემლობა უნივერსიტეტი
2. გ.თევზაძე, ,,ახალი ფილოსოფიის ისტორია“, გამომცემლობა GARPE DIEM
3.ზ.კაკაბაძე, ,,ფილოსოფიური საუბრები“, გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“1988 წ.
4.ი.ბასილაძე, ქ.ძოწენიძე, ნ.ჭოხონელიძე, ,,განათლების, სწავლა/ სწავლების და აღზრდის საკითხები“, I ნაწილი, ქუთაისი 2021წ

Nino Sokhadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: nino. Sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.22
SJIF 2026: 8.679

The Significance of Philosophical-Anthropological Pedagogy

Abstract

The article notes that pedagogy, like other sciences, original within the realm of philosophy, philosopical anthropology addresses the question: what is a human being? A new pedagogy, based on philosophical anthropology – referred to as “pedagogical anthropology” – has emerged. The paper examines the difference between pedagogy and anthropological pedagogy.

Pedagogical anthropology studies the essence of the child and maintains a close connection with philosophy and philosopical anthropology

Antrhropological pedagogy presents a new perspective on the essence of the human being – viewing the human as a thinking being. It regards the individual as a free being who bears a great responsibility toward society. Antrhropological pedagogy introduces the human being to their own meaning, their human duty and their purpose.

საკვანძო სიტყვები: philosopical anthropology, Antrhropological pedagogy

რეცენზენტი: პროფესორი ელენე ეკშებეევა